ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/345

ქ. თბილისი **5 ივლისი 2019 წელი**

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

ერთის მხრივ **სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"** (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ამავე სააგენტოს ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველის **დალი აბაშიძის** სახით და მეორეს **შპს „რჩეული"** (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნანა გულისაშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" ბიუჯეტის სახსრებით **(პროგრამა), 6 ივლისს, საგარეჯოში, პროექტის „მოსწავლეები კულტურული მემკვიდრეობის დესპანები" ღონისძიების მონაწილეთათვის საკვების მიტანით მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 55521200)** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: 2019 წლის 6 ივლისს, საგარეჯოში, პროექტის „მოსწავლეები კულტურული მემკვიდრეობის დესპანები"-ის შემაჯამებელი ეტაპის დასრულებასთან დაკავშირებით პროექტის მონაწილე „დესპანებისთვის" საკვების მიწოდების მომსახურება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **300 (სამასი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 6 ივლისი.

5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" თანამშრომელი: დალი აბაშიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექრონული დოკუმენტი ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204562311

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი

დალი აბაშიძე

National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

Digitally signed by National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
Date: 2019.07.05 16:43:37 +04'00'

მიმწოდებელი

შპს „რჩეული“
მის: ქ. საგარეჯო ერეკლე მე-2 #61
sales@rcheuli.com.ge
ტელ: +995 599 47 18 18
ს.ს. საქართველოს ბანკი
კოდი: BAGAGE22
ა/ა # GE45BG0000000018594900
ს/კოდი: 438114504

დირექტორი

ნანა გულისაშვილი

ხელშეკრულება დამოწმებულია მხარეთა მიერ ელექტრონული ფორმით

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **5 ივლისი 2019 წელი**

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი დალი აბაშიძე ვადასტურებ, **რომ სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ საკვების მიწოდების შესყიდვის პროცედურაში** ხელშეკრულება **#3/345 05.07.2019** ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და გამარტივებული შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი:

დალი აბაშიძე დ. აბაშიძე